საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის გამოკვლევა რესპონდენთა ფოკუს-ჯგუფის მაგალითზე

რამაზ ოთინაშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: otin-44@mail.ru
გიორგი პაპაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში - ***„საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური უთანასწორობის გამოკვლევა რესპოდენტთა ფოკუს-ჯგუფის მაგალითზე"*** - შესწავლილია სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და სოციალური სტატუსის 80 ადამიანის ცხოვრების და ყოფის დონე. კვლევა ჩატარებულია ქ. თბილისში და გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი. კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულია ინტერვიუ.

შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია შერჩეული ფოკუს-ჯგუფის წევრთა შემოსავლების უთანასწორობა, ანუ ჯინის კოეფიციენტი. იგი 0,43 ანუ 43%-ია, რაც მეტად ნეგატიური მაჩვენებლია, რადგან მდიდრებისა და ღარიბების შემოსავლებს შორის დიდ განსხვავებას აჩვენებს. როცა ეკონომიკა ხელოვნურად არის მონოპოლიზებული ეკონომიკური ზრდის შედეგებს მხოლოდ მოსახლეობის მდიდარი ფენა გრძნობს, რომლებსაც გააჩნიათ შემოსავლიანი ბიზნესები, სოლიდური კერძო საკუთრება და უკავიათ პრესტიჟული თანამდებობები და ა. შ.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდა მაქსიმალურად უნდა უწყობდეს ხელს საზოგადოების ფართო მასების კეთილდღეობის ამაღლებას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. ავტორები ასკვნიან, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები მცირე ბიზნესის განვითარების კუთხით ეკონომიკური უთანასწორობის შერბილებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უთანასწორობა, მდიდარი, ღარიბი, შემოსავლის თანაბარი და სამართლიანი განაწილება, ჯინის კოეფიციენტი.

შესავალი

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებში მეტად თვალშისაცემი დისბალანსია. ამას მოწმობს ჯინის კოეფიციენტი, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით 2015 წელს ტოლი იყო მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,42-ის, მთლიანი ხარჯების მიხედვით კი 0,45-ის.[1] ცნობილია აგრეთვე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2015 წლის 20 იანვრით დათარიღებული კვლევის მონაცემები, რომლის თანახმად საქართველო ეკონომიკური უთანასწორობის რეიტინგში ლიდერია რეგიონში.[2] ეს მდგომარეობა გვავალდებულებს ყველას - მეცნიერსაც და არამეცნიერსაც, რომ ვამრავლოთ და ჩავატაროთ დამოუკიდებელი პრაქტიკული კვლევები ამ სფეროში, რათა მივაგნოთ ამ უთანასწორობის შერბილების მექანიზმს.

1. ეკონომიკური უთანასწორობის კვლევის პრაქტიკული კონტექსტი.

ამ მიზნით დავგეგმეთ და რესპოდენტების ერთ ფოკუს-ჯგუფში დამოუკიდებლად ჩავატარეთ კვლევა. შესასწავლი ფოკუს-ჯგუფის ასაკობრივი შემადგენლობა შემდეგნაირად შევარჩიეთ:

18 წლიდან 40 წლამდე - 20 რესპოდენტი; 40 წლიდან 60 წლამდე - 40; 60 წელზე მეტი ასაკის - 20. მაშასადამე, კვლევაში ნებაყოფლობით ჩაერთო 80 რესპოდენტი, რომლებიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები აღმოჩნდნენ.

კვლევის მეთოდოლოგიური აპარატის შემუშავება მოხდა კვლევის მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე. ძირითადად გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი. აღნიშნული

[1] *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2016, გვ. 59.*

[2] *World Employment and Social Ovtlook, International Labour Organization, 2015, Geneva, p. 40.*

ცხრილი 1

ქ. თბილისის მოსახლეობიდან შერჩეულ რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (%-ში)

	სულ გამოკითხულების პასუხები
1. რა ასაკის ბრძანდებით?	
ა)18 წლიდან 40 წლამდე	34,5
ბ) 40 წლიდან 60 წლამდე	45,5
გ) 60 წელზე მეტის	20
2. სწავლობთ თუ მუშაობთ?	
ა) ვსწავლობ	23.6
ბ) ვმუშაობ	58.9
გ) პენსიონერი ვარ	17.5
3. თუ მუშაობთ რა გაქვთ დამთავრებული?	
ა) საშუალო სკოლა	11.6
ბ) კოლეჯი (ტექნიკუმი)	2.1
გ) უმაღლესი სასწავლებელი	86.3
4. პროფილით მუშაობთ თუ არა?	
ა) კი	37.1
ბ) არა	62.9
5. რამდენია თქვენი ხელფასი თვეში?	
ა) 500 ლარამდე	26.3
ბ) 500-ან 1000 ლარამდე	33.7
გ) 1001 ლარიდან 1500 ლარამდე	23.7
დ) 1500 ლარზე მეტი	16.3
6. რამდენი ადამიანია თქვენს კმაყოფაზე ოჯახში?	
ა) მარტოხელა ვარ	3.2
ბ) ერთი	17.2
გ) ორი	25.6
დ) სამი და მეტი	54.0
7. თქვენ თავს თვლით:	
ა) ღარიბად	20.3
ბ) ღატაკად	19.7
გ) საშუალოდ	36.1
დ) შეძლებულად	19.2
ე) მდიდრად	4.7
8. ხელფასის გარდა სხვა შემოსავალიც გაქვთ?	
ა) კი	36.8
ბ) არა	63.2
9. რამდენს შეადგენს სხვა შემოსავალი წელიწადში?	
ა) 5000 - 10000 ლარს	51.8
ბ) 10000 - 20000 ლარს	13.1
გ) 20000 ლარზე მეტს	35.1
10. პირველადი მოხმარების საქონლის შესაძენად გყოფნით შემოსავალი?	39.8
ა) არ მყოფნის	40.2
ბ) მყოფნის	20.0
გ) შემიძლია სხვა საქონლის შეძენაც	
11. გყოფნით თუ არა თქვენ და თქვენ კმაყოფაზე მყოფ ადამიანებს თქვენი შემოსავალი მიიღოთ კარგი განათლება?	
ა) არა	68.6
ბ) კი, მხოლოდ საქართველოში	17.2
გ) საკმარისია საზღვარგარეთ სწავლისთვისაც	14.2
12. გყოფნით თუ არა შემოსავალი მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებისთვის?	
ა) არა	67.1
ბ) მყოფნის	16.6
გ) ჭარბად მყოფნის თუნდაც საზღვარგარეთ	16.3
13. აკეთებთ თუ არა დანაზოგს ბანკში?	
ა) არა	70.6
ბ) მეტად მცირეს	15.3
გ) კი (ქონების შესაძენად)	14.1
14. თქვენ და თქვენს კმაყოფაზე მყოფი ადამიანები შვებულების დროს სად ისვენებთ?	
ა) სახლში	37.8
ბ) სოფელში	41.6
გ) საზღვარგარეთ (თურქეთი, ესპანეთი და სხვ.)	20.6
15. გაქვთ თუ არა რაიმე ბიზენსი ან თუ აპირებთ მის დაწყებას?	
ა) არ მაქვს და არც ვაპირებ	47.2
ბ) მაქვს	29.6
გ) მაქვს დიდი ბიზნესი	23.2

მეთოდი გავრცელებულია და გამოყენებაშია საქართველოშიც და საზღვარგარეთაც.

კვლევა ჩავატარეთ შემდეგი სქემით:

- შევარჩიეთ კვლევის ინსტრუმენტი. კვლევის არსებულ ინსტრუმენტებს შორის უპირატესობა მივეცით ინტერვიუს და ჩაღრმავებულ ინტერვიუს (მასში ვგულისხმობთ დამატებით კითხვებზე პასუხებს);
- შევადგინეთ ინტერვიურების კითხვარი;
- განვახორციელეთ რესპოდენტთა კვლევა (ინფორმაციის შეგროვება);
- მოვახდინეთ მოპოვებული ინფორმაციის კომპიუტერული დამუშავება;
- შევადგინეთ კვლევის შედეგებზე ანგარიში.

გამოკვლევა ჩავატარეთ ქ. თბილისის მოსახლეობაში და დასმულ კითხვებზე მივიღეთ შემდეგი შედეგები (ცხრილი 1):

დასმული კითხვების მიზანი იყო გაგვერკვია რას საქმიანობენ რესპოდენტები, რა შემოსავლები აქვთ, როგორია ეკონომიკური უთანასწორობა მათ შემოსავლებში და აპირებენ თუ არა ბიზნესში დასაქმებით გამოისწორონ საკუთარი მდგომარეობა.

ცხრილში წარმოდგენილი გვაქვს ყველა 80 გამოკითხული რესპოდენტის პასუხები. მათგან მხოლოდ 58.9%-ია დასაქმებული. მომუშავეთაგან 62.9% პროფილით არ მუშაობს. 500 ლარამდე ხელფასი აქვს 26.3%-ს, 500-დან 1000-მდე 33.7%-ს, 1001-დან 1500-მდე 23.7%-ს, 15000ზე მეტი 16.3%-ს. 19.7% - თავს თვლის ღატაკად, 20.3% -ღარიბად, 36.1% -საშუალო ფენად, 19.2% - შეძლებულად, 4.7% - მდიდრად. 19.8%-ს არ ყოფნის შემოსავალი პირველადი მოთხოვნილების პროდუქტების შესაძენად, 40.2%-ს ყოფნის, ხოლო 20.0%-ს შეუძლია სხვა საქონლის შეძენაც. კარგი განათლების მიღება არ შეუძლია გამოკითხულთა 68.6%-ს. ასევე, 67.1%-ს არ ყოფნის შემოსავალი კარგ მედიკოსებთან სამკურნალოდ. ბანკებში დანაზოგი არა აქვთ გამოკითხულთა 70.6%-ს. ბიზნესი არა აქვს და არც აპირებს ქონდეს 47.2%-ს, 29.6% აქვს მცირე ბიზნესი (ინდივიდუალური საწარმო), გამოკითხულთა 23.2%-ს კი აქვს დიდი ბიზნესი.

დავეყრდენით რა 80 რესპოდენტის პასუხებს, უპირველესად ვიანგარიშეთ საწყისი (ამოსავალი) მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 2) - რესპოდენტთა რაოდენობის და შემოსავლების ხვედრითი წონები, მათი ნაზარდი ჯამების ხვედრითი წონები, საშუალო შემოსავალი და საერთო შემოსავალი.

ჩავსვით რა, აღნიშნული მაჩვენებლები, კერძოდ, ხვედრითი წილების ნაზარდი ჯამები P_i და q_i ჯინის კოეფიციენტის ანუ ეკონომიკური უთანაბრობის საანგარიშო ფორმულაში,[3] მივიღეთ

$$K = \sum P_i q_{i+1} - \sum P_{i+1} q = [(0{,}263 \cdot 0{,}278) + (0{,}600 \cdot 0{,}532) + (0{,}837 \cdot 1{,}0)] -$$
$$- [(0{,}600 \cdot 0{,}057) + (0{,}837 \cdot 0{,}278) + (1{,}0 \cdot 0{,}532)] = [(0{,}073) + (0{,}319) + (0{,}837)] -$$
$$- [(0{,}034) + (0{,}233) + (0{,}532)] = 1{,}229 - 0{,}799 = 0{,}43$$

ცხრილი 2

ქ. თბილისის სხვადასახვა ასაკის და სხვადასხვა შემოოსავლი მქონე 80 რესპოდენტის ინფორმაცია ჯინის კოეფიციენტის დასადგენად

თვიური ხელფასის მოცულობა	რესპოდენტთა რაოდენობა	რესპოდენტთა ხვედრითი წონა (%)	საშუალო შემოსავალი თვეში	საერთო შემოსავალი, ლარი	რესპოდენტთა ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	შემოსავლების ხვედრითი წონები კოეფიციენტებში	ხვედრითი წილების ნაზარდი ჯამი	
							მოსახლეობის მიხედვით (P_i)	შემოსავლების მიხედვით (q_i)
500 ლარამდე	21	26.3	$500:2=250$	$21 \cdot 250 = 5250$	0.263	$\frac{5250}{91500} = 0.057$	0.263	0.057
500-დან 1000-მდე	27	33.7	$\frac{500+100}{2} = 750$	$27 \cdot 750 = 20250$	0.337	$\frac{20250}{91500} = 0.221$	0.263+0.337= =0.600	0.057+0.221= =0.278
1000-დან 1500-მდე	19	23.7	$\frac{1000+1500}{2} = 1250$	$19 \cdot 1250 = 23750$	0.237	$\frac{23750}{91500} = 0.254$	0.600+0.237= =0.837	0.278+0.254= =0.532
1500-ზე ზევით 5000-მდე	13	16.3	$\frac{1500+5000}{2} = 3250$	$13 \cdot 3250 = 42250$	0.163	$\frac{42250}{91500} = 0.468$	0.837+0.163= =1.0	0.532+0.468=1.0
	80	100	-	91500	1.0	1.0	-	-

[3]*ფორმულა აღებულია წიგნიდან: გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესში და მენეჯმენტში, თბ., „ზეონი", გვ. 497.*

შემდეგი:

მაშასადამე, ჩვენს მიერ გამოკითხულ 80 რესპოდენტის შემოსავლების უთანასწორობის (იგივე ეკონომიკური უთანასწორობის) კოეფიციენტი, რომელსაც ჯინის კოეფიციენტი ეწოდება 0,43-ს შეადგენს, რაც პროცენტულად არის 43%.

ჩვენს მიერ გამოანგარიშებული ეს მაჩვენებელი ახლოსაა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოთვლილ ჯინის კოეფიციენტთან, რომლის სიდიდედ 2015 წელს 0,45 არის გამოცხადებული. იგივე მაჩვენებელი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას 2015 წლის 20 იანვრის კვლევაში 42,1% ანუ 0,421 აქვს ნაჩვენები.

ამრიგად, როგორც ჩვენი, ისე სხვა გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში ჯინის კოეფიციენტი უდაოდ მაღალია. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობაში შემოსავლების განაწილება ძალზე უთანასწორია. ეს უთანასწორობა საქართველოში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში:[4] ბელორუსიაში იგი 0.26-ია, ყაზახეთში - 0.29, ტაჯიკეთში - 0.31, მოლდავაში - 0.33, აზერბაიჯანში - 0.34, ესტონეთში - 0.36, რუსეთში - 0.40. საგანგაშო კიდევ ის არის, რომ საქართველოში წლების განმავლობაში (2010-2015 წ.წ.) იგი კი არ მცირდება, არამედ გაიზარდა (გაიზარდა 0.41-დან 0.45-მდე).

გაეროს მიერ შემუშავებული საზოგადოების მდგრადი განვითარების კონცეფციის მიხედვით - ეკონომიკური ზრდა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების ფართო მასების კეთილდღეობის ამაღლებას, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. შემოსავლების მკვეთრი უთანაბრობის შემთხვევაში, როდესაც ეროვნული ეკონომიკა მონოპოლიზირებულია ხელოვნურად, ეკონომიკური ზრდის შედეგებს ძირითადად მოსახლეობის მდიდარი ფენა გრძნობს, რომლის ხელშიცაა მაღალი შემოსავლების მიღების პრაქტიკული ბერკეტები - კერძო საკუთრება, სხვადასხვა ბიზნესები, მაღალი თანამდებობები და ა.შ.[5]

საქართველოში ეს მდგომარეობა გაგრძელდება მანამ, სანამ არ წარმოიშვება საშუალო ფენა, რომელიც დღეს ძალზედ მცირერიცხოვანია. საშუალო ფენის წარმოშობას კი სჭირდება ბიზნესის, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. ასეთ დროს ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 47.2%-ს არა აქვს ბიზნესი და არც ფიქრობს მის დაწყებას. ინტერვიურების ჩაღრმავებით გავარკვიეთ, რომ ისინი საქართველოში არსებულ ბიზნეს-გარემოს არამიმზიდველად თვლიან. კერძოდ, ასახელებენ საგადასახადო კოდექსის არასტაბილურობას, საბანკო სესხების მაღალ განაკვეთებს და ა. შ. ეს ადამიანები პოტენციური ბიზნესმენებია და მათ აზრს ქვეყნის მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს.

ჩვენი აზრითაც, იმისათვის, რომ საქართველო გაძლიერდეს და მისი მოსახლეობის ცხოვრების დონე ამაღლდეს, საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის უფრო მასიურად და სწრაფი ტემპებით განვითარება, ვიდრე დღეს ვითარდება საქართველოში.

დასკვნა

საქართველოში მართალია ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ის მოსახლეობის ყველა ფენისთვის არ არის ხელშესახები. მის შედეგებს მხოლოდ მდიდრები გრძნობენ. თუ მოსახლეობის ფართო ფენებმა ვერ მიიღო გაზრდილი ეროვნული სიმდიდრე და, ის კვლავაც შეძლებული და მდიდარი ფენისკენ წარმართა, მაშინ ქვეყანაში ეკონომიკური უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდება. ქ. თბილისის მოსახლეობაში ჩატარებული კვლევით ჯინის კოეფიციენტი 0,43-ია. ეს არის ეკონომიკური უთანასწორობის კრიტიკულ ზღვარს გადაცილებული მდგომარეობა. დასაფიქრებელია ისიც, რომ გამოკვლეულ რესპოდენტთა 47,2% არ ფიქრობს ბიზნესის დაწყებას და ამ გზით თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მაშასადამე, საქართველოს მთავრობის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს, არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ, ამ ზრდით მიღებული სიკეთის შედარებით სამართლიანი განაწილება. ამისთვის მან მოსახლეობას ბიზნესის დაწყების თანაბარი და ყველასთვის ერთნაირად ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას.

[4] *http://www.radiotavisupleba.ge/ekonomikuri_zrda_tu Sotsialuri utanasstoroba/25058354.html*

[5] *ოთინაშვილი რ.გ.* საქართველოს ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი: სტუ. 2012.-556. გვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Employment and social Ovtlook, International Labour Organization, 2015, Geneva, gv. 40.

2. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესში და მენეჯმენტში, თბ., „ზეონი", გვ. 497.

3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2016, გვ. 59.

4. http://www.radiotavisupleba.ge/ekonomikuri_zrda_tu Sotsialuri utanasstoroba/25058354.html

5. ოთინაშვილი რ. გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., სტუ გამომცემლობა, 2010, გვ. 556.

THE RESEARCH OF GEORGIAN POPULATION ECONOMIC INEQUALITY ACCORDING TO THE FOCUS GROUP EXAMPLE OF RESPONDENTS

RAMAZ OTINASHVILI
Professor of GTU
E-mail: otin-44@mail.ru
GIORGI PAPASHVILI
Doctoral of GTU

Summary

In the article – **"The research of Georgian population economic inequality according to the focus group examples"** is studied the level of different professions,ages and social status of 80 people's lives. The research is conducted in Tbilisi and it is used the quantitative method,the instrument of research is an interview.

On the basis of collected information it is made Gini Coefficient or chosen focus group members' income inequality. It is 0,43 or 43%, that is very negative, because it shows a great difference between rich and poor people's incomes. When economics is monopolized artificially,only rich people feel the results of economic grows who have a profitable businesses, solid private property and have a prestigious posts with high salaries and etc.

In the article it is said that economic growth should encourage the raising of prosperity in the broad masses from society,the protection of their rights and freedom. The authors draw the conclusion in the article that Georgian government must emplement some important activities to softening economic inequality growth on the side of small business.

Key words: Economic inequality growth, rich people, poor people, equal and fair distribution of income,Gini Coefficient.